პარტიისა და ხალხის ერთიანობა

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 48 (19190) ორშაბათი, 25 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

დაგელოცოს მზისკენ ძროლვა, შენება და შემართება

მხატვარ თ. ხუციშვილის პლაკატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასწორთა თანავარსკვლავედში

ჯ. პატიაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებება საბჭოთა საქართველო თავის 64 წლისთავს.

ისინი, ვინც 1921 წლის დაუვიწყარ თებერვალში დაიბადა, უკვე შვილიშვილებს ზრდიან, მათი შვილები კი ამენებენ ქალაქებსა და ჰიდროელექტროსადგურებს, აღნობენ ფოლადს, აწარმოებენ თვითმფრინავებს, ელმავლებს, ავტომობილებს, იწვევენ ჩაის, ყურძენს, ციტრუსების რეკორდულ მოსავალს, შრომობენ სამეცნიერო ლაბორატორიებში, ხომალდებით სერავენ მსოფლიო ოკეანის უკიდეგანო სივრცეებს...

საქართველო — ქვეყანა, რომელიც სულ რაღაც სამოცდაოთხი წლის წინათ მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე იყო, გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. იგი ერთი იმ თხუთმეტ თანასწორ რესპუბლიკათაგანია, რომლებიც გაერთიანებული არიან მძლავრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ყველა საბჭოთა ხალხის ძმური მეგობრობის უშრეტი ძალა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული და შორსმჭვრეტელური ეროვნული პოლიტიკა, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დღეგრძელი ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების აყვავებისათვის — აი ის ურყევი საძირკველი, რომელზეც დგას საბჭოთა საქართველო.

1922 წლის 30 დეკემბერს, როცა მოსკოვში მიიღეს დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, ლოზუნგის კონფერენციაზე ლენინის დავალებით განაცხადეს, რომ ხელმძღვანელებენ რა საყოველთაო მშვიდობის ინტერესებით, საბჭოთა რესპუბლიკებს „თავიანთ უპირველეს მოგალეებად მიაჩნიათ... ყოველნაირად შეუწყონ ხელი რასებს შორის პოლიტიკური თანასწორობის რეჟიმის დამყარებას, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემას და ყველა სახელმწიფოს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას“.

ასე მარტივად და გასაგებად ჩამოყალიბდა პრინციპულად ახალი საგარეო პოლიტიკის არსი, რომლის განხორციელებაც თანამიმდევრულად შეუდგა მსოფლიოს პირველი სოციალისტური ქვეყანა.

ასე შეიქმნა ლენინური კომუნისტური პარტიის ნებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა საქართველო ამ კავშირის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში დღეს საქართველოს აქვს დიდად განვითარებული ინდუსტრია და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მაღალი კულტურა. იგი აწარმოებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალფეროვან პროდუქციას, რომელიც იგზავნება საბჭოთაის ყველა კუთხეში, მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში, თავისი ეროვნული შემოსავლის უდიდეს ნაწილს საქართველოო ახმარს მშრომელთა მატერიალურ და „კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური განვითარების მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აყვავება მიღწეულია არა ეროვნული კარჩაკეტილობის გზით, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან პარმონიული და ყოველმხრივი კავშირის გზით, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გამოცდილების ურთიერთგამდიდრების გზით.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გზით, აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით მიდიან საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სკკპ XXVII ყრილობისაკენ. მხურვალედ იწონებენ რა ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ნაბიჯს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტანტინე უსტჩინის ძე ჩერნენკოს სიტყვას, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან მზადებას კომუნისტთა ისტორიული ფორუმისათვის, რომელიც მოწოდებულია განსაკუთრებული როლი შეასრულოს ჩვენი პარტიის ისტორიაში, ქვეყნის ცხოვრებაში სწორედ მან უნდა მიიღოს პარტიული პროგრამის ახალი რედაქცია.

„ეს იქნება განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროგრამა, — აღნიშნულია ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში. — დიდი აღმშენებლობითი საქმიანობის პროგრამა, რომელიც სამუალებას მოგვცემს მოლიანად შევასხათ ხორცი ჩვენს სოციალისტურ იდეალებს. და მაშასადამე მოვაახლოოთ კიდეც კომუნიზმის მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ ამოცანათა გადაწყვეტის შეახლებლობა, კომუნიზმისა, რომელიც იყო და კვლავ არის ჩვენი დიადი „მიზანი“.

განვლილი 64 წლიდან ყოველ წელს საბჭოთა საქართველო ვითარდება ლენინური პარტიის სტრატეგიული კურსის თანამიმდევრული განხორციელების, ყველგან და ყველაფერში მუშაობის ლენინური სტილისა და პრინციპების დამკვიდრების საფუძველზე.

დამკვრელურად იშრომეს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის მშრომელებმა 1984 წელსაც. აქტიურად ვემზადებოდით რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, რომელიც 24 თებერვალს გაიმართა და კვლავ ცხადყო კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მონოლიითური შეკავშირება, ვეგებებით რა სკკპ XXVII ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, დიადი გამარჯვების 40 წლისთავსა და სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავს, ახალ წარმატებებს მივაღწიეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მოქმედთა მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოები, არსებითად განმტკიცდა რესპუბლიკის სობობენერგეტიკული ბაზა. გრძელდება დიდი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების განვითარება. რამდენადმე შემცირდა საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა, გაუმჯობესდა მთელი რიგი სხვა თვისებრივი ფაქტორები. იმედისმომცემი ცვლილებანი ხდება ეკონომიკის აგრარულ სექტორში. გაუმჯობესდა საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ეკონომიკური განვითარების მიღწეულმა მოჯენებმა საშუალება მოგვცა უზრუნველგვყო საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

ეს წარმატებები აღინიშნა მაღალი ჯილდოთი — მეთორმეტედ მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ბულდაჯერებით დაიწყო საბჭოთა საქართველომ მიმდინარე, 1985 წელიც.

დღეს სამართლიანად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გაესული წლის თავიანი შედეგი და მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი ნიშანი გახდა იმ დაფიქრები ტენდენციების დამკვიდრება და შემდგომი განვითარება, რომლებიც ახასიათებს მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ ოვთსებრივ ცვლილებებს. სულ უფრო იჩენს თავს დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის ელემენტიკების, კადრების პასუხისმგებლობის გაფილების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ განახორციელა. გაძლიერდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური გავლენა შრომითს კოლექტივებში.

ახლა რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს ხუთწლედის წარმატებული დამთავრებისათვის. დროის გასწრებით მუშაობენ ბევრი ჩვენი კოლექტივი, წარმოების, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მოწინავენი. თავიანთ წარმატებებს ისინი უძღვნიან სკკპ XXVII ყრილობას, რომელიც განსაზღვრავს პარტიის სტრატეგიას სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში თვალსაწიერი პერსპექტივისათვის და ეკონომიკის განვითარების მიმართულებას შემდგომი ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის.

საყრილობო შეჯიბრების ყოველ მონაწილეს, განიდგის რა მიღწეულისადაოს „კანონიერი სიამაყის გრძნობას, ამავე დროს შესანიშნავად ესმის, რომ ჯერ კიდევ მთელი რეზერვები სრულად რიდია მოქცეული სამეურნეო ბრუნვაში.

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წინაშე ახლა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა დგას. იგი ეხება წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ამაღლების რეზერვების შემდგომ ძიებას.. ეს პრობლემა თანაბრად მწვავედ დგას მრეწველობაშიც, სოფლის მეურნეობაშიც, მეგზურებაშიც, ვინაიდან ზედაპირზე არსებული რეზერვები უკვე მნიშვნელოვანწილად ამოიწურა, და ახლა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს რეზერვები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში თანამიმდევრულ და ყველგან დანერგვას, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, უზომორწყლებოდ მუშაობას, სოციალისტური შეჯიბრების ყველა მონაწილის შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის გადიდებას, რომელიც ადამიანთა პროფესიული და სულიერი ზრდის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. ჩვენი წინსვლის დაჩქარების ახალი რეზერვების გამონახვისათვის გამიზნული მუშაობის ეფექტიანობის დონეზეა დამოკიდებული ის, თუ რით შეეგებებით პარტიის მორიგ ყრილობას. სწორედ ამიტომ დღეს წამოჭრილი ყოველი პრობლემის გადაჭრა მკაცრად უნდა შეეფასებოთ იმ ამოცანათა მასშტაბს, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს უნდა გადავწყვეტოთ.

ამოუწურავია ხალხის ინიციატივის წყაროო. საქართველოში ფართოდ ვრცელდება ექსპერიმენტები, რომელთა მიზანია სამეურნეო მექანიზმის, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა, ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვა, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვა.

დასახული გეგმები რომ შეასრულოთ, უნდა მივაღწიოთ მაღალ ორგანიზებულობას, მუშაობის მწყობრ რიტმს წლის ყველა თვეში. საქმიანად უნდა გამოვიყენოთ საუკეთესო კოლექტივების მიერ შეძენილი მუშაობის საგულისხმო გამოცდილება, ყურადღება მივაპყროთ წარმოების ეფექტიანობის გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომპირნეობისა და ყაირათიანობის, ძირითადი ფონდების უკუგების ზრდის პრობლემებს. წარმოების განვითარების დიდ შესაძლებლობებს შეიცავს შრომის სწორი ორგანიზაცია. პარტიულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა გადაჭრით უნდა იბრძოლონ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამუშაო დროის დანაკარგების თავიდან აცილებისათვის, ენერგეტიკული, სანედლეულო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაზოგვისათვის, ნიადაგ იზრუნონ კადრების დენადობის შემცირებისათვის.

წლის, მეთი ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის ორგანიზატორული მუშაობის მთავარი რგოლია სოციალისტური შეჯიბრება.

ყოველივე, რაც დღეს გვაქვს და რასაც ხვალ მივაღწევთ, დამოკიდებულია ჩვენზევე, ყოველი საბჭოთა ადამიანის უნარზე, მუშაობდეს შემოქმედებითად, მის მაღალ შეგნებაზე პროფესიულ მომზადებაზე, პასუხისმგებლობის გრძნობასა და დისციპლინაზე.

აზერბაიჯანისა და სომხეთის შრომელებთან ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკას დაეხმარება ახალი წარმატებების მიღწევაში, ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში. (საქინფორმი).

ესწრაფვიან მშვიდობასა და ადამიანებს

უთარგმნელად შევიდა მსოფლიოს ყველა ხალხის ენაში მოკლე სიტყვა „საბჭოეთი“. ჩვენი ქვეყნის — ისტორიაში პირველი შუშერ-გლეხური სახელმწიფოს სახელმა, ამავე დროს ზუსტად და ტევადად გამოხატა მისი პოლიტიკური საფუძველი. სახალხო დეპუტატთა საბჭოები სოციალისტური დემოკრატიის ცოცხალი განსახიერება, კომუნისტური მშენებლობის მძლავრი იარაღია.

ჩვენი დროშებისა და ტრანსპარანტების წითელი ფერით არის აღნიშნული ჩვენს კალენდარში 24 თებერვალი, საბჭოთა ხელისუფლების არჩევნების დღე. მოსკოვის თოვლიან პანორამას მისი ჭეშჩებისა და მოედნების ალისფერი მორთულობა შეეწყო, როგორც ყოველ ხალხის ენაში მოკლე სიტყვა — ისტორიაში პირველი შუშერ-გლეხური სახელმწიფოს სახელმა, ამავე დროს ზუსტად და ტევადად გამოხატა მისი პოლიტიკური საფუძველი. სახალხო დეპუტატთა საბჭოები სოციალისტური დემოკრატიის ცოცხალი განსახიერება, კომუნისტური მშენებლობის მძლავრი იარაღია.

ჩვენი დროშებისა და ტრანსპარანტების წითელი ფერით არის აღნიშნული ჩვენს კალენდარში 24 თებერვალი, საბჭოთა ხელისუფლების არჩევნების დღე. მოსკოვის თოვლიან პანორამას მისი ჭეშჩებისა და მოედნების ალისფერი მორთულობა შეეწყო, ოთხ-ერთმა პირველმა მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი რასადენების ოჯახმა. ოჯახის მეთაური — გენადი ივანეს ძე — 30 წლის სტაჟის მქონე მუშაა.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივმა, — უთხრა ვეტერანმა საკადესის კორესპონდენტს, — უდიდესი სიხარულით დასახელი კვლავ თავის კანდიდატად პარტიისა და სახელმწიფოს გამორჩენილი მოღვაწე, დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო. მას ახასიათებს ისეთი ნამდვილად ლენინური თვისება, როგორიც არის მშრომელ ადამიანებთან სიახლოვე, მისწრაფება, ეთათბიროს მათ, ყურად იღოს მათი აზრი. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ეწვია 1981 წლის ნოემბერში კონსტანტინე უსტინის ძე ჩვენს საწარმოს. გვახსოვს მისი რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები, რომლებიც დაგვეხმარნენ სერიოზულად გაგვეუმჯობესებინა მუშაობა.

როგორც პარტიის განაწესი, აღვიქვით ჩვენ ამხანაგ ჩერნენკოს სიტყვები: ვაწარმოოთ მეტი ნაკეთები, ხოლო ახალი ტექნიკის დანერგვით მიღწეულმა ეკონომიკურმა ეფექტმა მილიონობით მანეთი შეადგინა. მაგრამ წინ

(დასასრული მე-2 გვ.)

სურათებზე: ხმას აძლევენ ამხანაგები კ. უ. ჩერნენკო და ნ. ა. ტიხონოვი.

საკადრ.-საქინფორმის ტელეფოტო.

ვიაროთ წინ, ვხელავდეთ პერსპექტივას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე საქართველოს მშრომელთა ყურადღების ცენტრშია. ამ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და მითითებანი, რომლებმაც სრული მხარდაჭერა და მოწონება პოვეს, საფუძვლად ედება მთელ სამერმისო მუშაობას.

მშრომელთა ჯანმრთელობის ინტერესებისათვის

უფრო თამამად, გაუქიანურებლად უნდა აეთვისოთო ყოველივე სასარგებლო, საგულისხმო, რაც უკვე მოგვცეს ეკონომიკის ექსპერიმენტებმა, მეურნეობრიობის მოწინავე ფორმებმა და მეთოდებმა. ამომრჩეველების წინაშე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული ეს აზრი დაგვეხმარება ეფექტიანებდეთ ჩვენს ქალაქში, სამეურნეო-სამმართველო ექსპერიმენტის ინიციატორი რომ გახდა, წამოწყების, რომლის მიზანია ტერიტორიული და დარგობრივი ინტერესების ოპტიმალური შეხამება.

რამდენიმე წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ფოთის ექსპერიმენტი დაინერგა ზუგდიპირა ქალაქში, არსებითი ძვრები მოხდა პრაქტიკულად მისი ცხოვრების ყველა სფეროში — ეკონომიკაში, ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ეს ძვრებია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაშიც.

პარტია, სახელმწიფო, ზრდიან მომთხოვნელობას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობისადმი, ხაზგასმულია ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში. ამის დადასტურებაა ის, რომ ქვეყანაში დაიწყო მზადება მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციისათვის. ფოთი დასახელებულია ამ ერთ-ერთ სამაზო ქალაქად, დისპანსერიზაციისათვის მომზადების დარქარებში გვეხმარება ექსპერიმენტი. საკმარისია ითქვას, რომ ქალაქის ტერიტორიულ-დარგშორისი გაერთიანების საქმიანობის მეოხებით მიღებული მოგება შესაძლებლობას გვაძლევს 100 ათასი მანეთი გამოვყოთ სარეანიმაციო ცენტრის ასაშენებლად, რომელიც მესამე გახდა რესპუბლიკაში თბილისისა და ქუთაისის შემდეგ. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დფენანსების არსებითმა გადიდებამ დაგვაქვეიფებინა ავადობის, საყარმოო ტრავმატიზმის საერთო დონე, და, სახლოო ანგარიშით, მნიშვნელოვნად შეგვამცირებინა ქალაქის ინდუსტრიაში სამუშაო დროის დანაკარგები.

3. ვეკუა,
ფოთის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგე.

ზუგდიდი: გმირები მხარდამხარ

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის საარჩევნო უბნებში დღეს ოცი სოციალისტური შრომის გმირი იყო იმათ შორის, ვინც ხმა მისცა თამარ ანდრიას ასულ ყუფუნიას. ყველაზე უხუცესი ქართველი მეჩაიის, დარგში სტახანოვური მორრობის წამომწყების შრომა ოთხ წოფელი გარსკვლავით აღინიშნა.

მეზობელ სოფელ რუხშიც, სადაც ხმას აძლევდა თვით თამარ ყუფუნია, პირველები მას შეხვდნენ შრომის გმირების ახალი თაობის წარმომადგენლები. ამ ისინი ხუთნი არიან და თითოეული სახელგანთქმული მეჩაიის მოდგეარია. აქ რესპუბლიკის უმაღლესის საბჭოს არჩევნების № 336 რუხის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

— ვამაყობ იმით, რომ მეჩიიეთა ძნელმა შრომამ გვრიგად განსაზღვრა რესპუბლიკის მორიგი გამარჯვება საყავშორო სოციალისტურ შეჯიბრებაში, — თქვა თ. ყუფუნიამ. — ზედიზედ მეთორმეტჯერ მობოვებულმა ამ გამარჯვებამ ცხადყო, რომ საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთიანი შრომითი განწყობით არიან გამსჭვალულნი. აი ახლაც ჩვენ გეგერთიანებს მისწრაფება ღირსეულად შეგხვდეთ მშობლური პარტიის XXVII ყრილობას, რომლის ღისსნშნავადაც ჩემმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა შეასრულოს ორი ხუთწლედი. სწორედ ამ ყრილობას, როგორც ღინიშნულია წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში, მოიწვევს შეასრულოს განსაკუთრებული როლი ჩვენი პარტიის ისტორიაში, ქვეყნის ცხოვრებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება

საქართველოს სსრ 1985 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

— მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება საქართველოს სსრ 1985 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ:

ლიტერატურის დარგში

კალანდაძეს ანა პაოლეს ასულს, პოეტს, — ლექსების ციკლისათვის „თავიწეული ქართლის დროშები“ (გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1984 წლის 21 მაისს) და ბოლო წლებში გამოქვეყნებული მთელი რიგი ლექსებისათვის.

ჩარკვიანს ჯანსუღ ავდიოს ძეს, პოეტს, — 1983-1984 წლებში გამოქვეყნებული ლექსების ციკლისათვის.

შინკუბას ბაგრატ ვასილის ძეს, პოეტს, — ბოლო წლების ნაწარმოებებისა და ქართული კლასიკური პოეზიის (შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი) თარგმნისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში

ნიფარაძეს ზურაბ არჩილის ძეს, ხეხატვარს, — ბოლო წლებში შექმნილი მხატვრული ტილოებისათვის.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ალექსიძეს დიმიტრი ალექსანდრეს ძეს (საკვდილშემდგომ), რეჟისორს — ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალში დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის“ და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულ დრამატულ თეატრში შექმპრის „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმისათვის.

მუსიკის დარგში

ყვირნაძეს ბიძინა ალექსანდრეს ძეს, კომპოზიტორს, — ოპერისათვის „იყო მერვესა წელსა“ და უკანასკნელი წლების ვინმუსიკისათვის.

კინოსა და ტელევიზიის დარგში

ლორთკიფანიძეს გრიგოლ დავითის ძეს, დამდგმელ რეჟისორს, სალუქვაძეს ანზორ სერგოს ძეს, სცენარის ავტორს, **ნამგალაშვილს** ლევან ნიფტალის ძეს, დამდგმელ ოპერატორს, **ხუციშვილს** კახი იოსების ძეს, დამდგმელ მხატვარს, **არჩვაძეს** თენგიზ გრიგოლის ძეს, **ქაფიანიძეს** ზურაბ ვასილის ძეს, **კოკაძეს** ქეთევან გაბრიელის ასულს, მთავარი როლებში შემსრულებლებს — მრავალსერიანი მხატვრული ფილმის „წიგნი ფიცისა“ შექმნისათვის.

არქიტექტურის დარგში

აბრამიშვილს ვახტანგ გრიგოლის ძეს, **მირიანაშვილს** გურამ ზაალის ძეს, **ჯანდიერს** ლევან ილიას ძეს, არქიტექტორებს — ქალაქ თბილისში აღმინისტრაციული შენობის არქიტექტურისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

გამოიცა ქართულ ენაზე

გამოვიცეთლოა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სიტყვა „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გზით, აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით“ ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთან შეხვედრაზე 1985 წლის 22 თებერვალს.

ბროშურა დაბეჭდა საქართველოს სსრ გამსახკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა. (საქინფორმი).

ერთიანობის ვითარებაში ხმა მისცა მთელმა საქართველომ

ერთიანული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ქ. სოხუმის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი. ხმას აძლევენ ინჟინერი მაია ბაგბა, მძღოლი შოთა თოფურია და ეკონომისტი გალინა ჩეფფერიდი; **თბილისი.** № 23 საბჭოთაფლის საარჩევნო უბანი. პირველი აძლევს ხმას სოციალისტური შრომის გმირი, ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, № 14 სამშენებლო ტრესტის მე-10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვალერიან ჭელაძე; **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქი. დაბა ჯავის საარჩევნო ოლქში პირველნი მოვიდნენ დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები აკიმ სანაკოევი და იასონ ჯიკოევი, კომკავშირელი იდა ცხოვრებოვა.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი"), ი. ბოხორეულიძის და ლ. გუსოვის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

სახალხო დღესასწაული

თბილისი

ციოლეთა დროშებმა და ტრანსპარანტებმა დამშვენეს რესპუბლიკის დედაქალაქი 24 თებერვალს. ახიათასობით თბილისელმა, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ კონსტიტუციურ უფლებას, ამ დღეს ხმა მისცა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ბედნიერ ხვალინდელ დღეს, რომლისკენაც ისინი ოპტიმიზმით, მომავლის რწმენით მიდიან.

„საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების არჩევნები ხალხის პოლიტიკური ნების პირდაპირი, თვალსაჩინო გამოხატულებაა",— ნათქვამია ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე ამხანაგ კ. უჩერნენკოს სიტყვაში. ხალხის ამ ნებამ მუშათა კლასის, კოლმეურნეთა გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის საუკეთესონი დაასახელა დეპუტატებად, რომლებიც მოწოდებულნი არიან განაგონ სახელმწიფო საქმეები.

...საარჩევნო უბანში, ისევე როგორც სადაც დღეებში საარქროში, ყველა ერთად მოვიდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის იმ ბრიგადის წევრი, სადაც მუშაობს ვ. ეუბლაშვილი. მოვიდნენ, რათა ხმა მისცენ მოწონავე მუშას, რომელიც მათ დაასახელეს საკართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— დარწმუნებული ვარ, რომ ვახტანგ კუტალაძეცი ღირსეულად შეასრულებს სახალხო რჩეულის მოვალეობას, თბილისის მუშთა კლასის სრულფასფლიანი წარმომადგენელი იქნება რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, — თქვა ზეინალაძე, ბრიგადის პარტბიუროფორგმა გრიგორ ყიფრუამ.

თბილისის ავიამშენებლები ღირსეულად იცავენ ქალაქის მოწინავე საწარმოს რეპუტაციას. ისინი არიან პარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორები, შეჯიბრებისა, რომელშიც ფიქრობენ ამ ზაფხულ ქარხნის 280 საწარმოო ბრიგადა, ოთხი ათასზე მეტი მუშა.

თავის ინდუსტრიულ პოტენციალს ზრდის საქართველოს დიდ ქალაქის საქარხნო რაიონი. ეფექტანობა, ხარისხიანად მზადმყოფობა ამ საწარმოები სამეურნეო-სამმართველო ექსპერიმენტის პირობებში. საკმარისია ითქვას, რომ ახლა აქ მარტო საწარმოო ნარჩენებისაგან უშვებენ ათობით დასახელების ასიათასობით მანეთის პროდუქციას.

არანაკლებ წარმატებებს აღწევენ თბილისის სხვა სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის მშრომელები. წინა არჩევნების შემდეგ გასული დროის მანძილზე აქ აითვისეს მაღალი ტექნიკური დონის თანამედროვე ნაკეთობათა წარმოება: აქ არის ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტრული მანქანები და აპარატები, ახალი თაობის მძლავრი მაგისტრალური ლოკომოტივები.

— ჩვენი საწარმო ოთხი წლის განმავლობაში მთლიანად შეიცვალა, — თქვა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" მეთაური საწარმოს უფროსმა ოსტატმა ვარლამ გაშაკიძემ. — რეკონსტრუქციის პირობებში ჩვენმა კოლექტივმა შექმნა 9 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელ-15 თორმეტღერძიანი ელმავალი. საწარმოს განახლებისათვის გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება სოციალურ საჭიროებებს, ელმავალმშენებლათა ათობით ოჯახმა არჩევნების წინ იზეიმა ახალმოსახლეობა.

ვარლამ პეტრეს ძე ვაშაკიძე დიდი სამამულო ომის მონაწილე, უმაღლესი ჯარისკაცური ჯილდოს — დიდების ორდენის კავალერია. მან საბრძოლო გზა გაიარა ორმოცდაერთიდან გამარჯვების ორმოცდახუთ წლამდე — მდინარე პრუტიდან ვინამდე, არაერთხელ აურჩევიათ რაიონული საბჭოს დეპუტატად, მას ძალონენ არ დაუზოგავს იმისათვის, რომ ლენინის რაიონი უკეთესი და უფრო ლამაზი გამხდარიყოდეს დეპუტატის ძნელ ესტაფეტას ატარებენ სხვები, და ვეტერანს, რომელიც ხმას აძლევს მას, სწამს, რომ ხალხს რჩეულთა ვალს ისინი ღირსეულად მოიხდიან.

...გლდანის საცხოვრებელ მასივში ფორე მოსულლშვილის სახელობის მიკრორაიონის „საბჭოს შენობაში მდებარე საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველი მოვიდა ომის ვეტერანი ილია სიმონის ძე ბაღაშვილი.

— გაიზარდა და დამშვენდა გლდანი ბოლო წლებში, — თქვა მან, — ასობით ოჯახმა იზეიმა აქ გასულ წელს ახალმოსახლეობა. ამომრჩეველთა განაწესით სწრაფად მოიწევს მასიებისაკენ მეტროპოლიტენის ხაზი, მე ხმას ვაძლევ ჩემი შვილებისა და შვილშვილების ბედნიერ მომავალს, ქვეყნად მშვიდობას, რომელიც დავიცავით ორმოცი წლის წინათ...

რესპუბლიკის დედაქალაქის ყველაზე ახალგაზრდა საბურთალოს რაიონი სრული უფლებით შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე ახალგაზრდულადაც, აქ მდებარეობს რესპუბლიკის სამი წამყვანი საუკეთესო სასწავლებელი: პოლიტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები.

ახალგაზრდების ენთუზიაზმი და ძიება განსაკუთრებით საგრძნობია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის წინ, რომელიც ზაფხულში გაიმართება მოსკოვში. ეფსდებინან რა ფესტივლისათვის, საბურთალოელები მრავალი სასიკეთო საქმის ინიციატორნი გახდნენ შრომაში, სწავლაში, სპორტში.

ამ განწყობას სიმბოლურად გამოხატავს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მათ დასახელეს ია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი.

უკვე შუადღისათვის რესპუბლიკის დედაქალაქში ხმა მისცა ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა. არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო მშრომელთა მზრახი ერთიანობა შეგნება, მათი მზადყოფნა ახალი წარმატებებით შეეგებონ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, ღირსეული საქმეებით აღნიშნონ მოსაწოდეთ დიდი გამარჯვების 40 წლისთავი. (საქინფორმი).

სოხუმი

აფხაზეთის მშრომელები უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში შეხვდნენ არჩევნების დღეს.

მეფერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფხაზეთის მშრომელთა მიღწევები. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არის აგრეთვე გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

აფხაზეთის 285-ვე საარჩევნო უბნის კარი დილის ექვს საათზე გაიღო.

სოხუმის მაიაკოვსკის საარჩევნო უბანში, რომელიც მეოთხე საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული, საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნათელა ბოკუჩავამ ამომრჩეველები ხმის მისაცემად მიიწვია.

ბიულეტენები პირველმა მიიღო ახალგაზრდა ამომრჩეველმა სვეტლანა გაბისონიამ, ლარიან კაკულიამ და ოლეგ პეტროსიანიმ.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სახელოვანი ადამიანები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები საარჩევნო უბანში დილადრიან გამოცხადდნენ. ღვაწლმოსილმა კოლმეურნემ, პენსიონერმა ბაგრატ გიგაბამ, როცა ბიულეტენები ეუთმნა ჩუშეა, თქვა: მიწდა დღეგრძელობა ეუსურვო ჩვენი ქვეყნის მეთაურს კ. უ. ჩერნენკოს, პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას იმისათვის, რომ ისინი დაუღალავად იბრძვიან მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის. გვსურს ეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვნახოთ ჩვენი ბალის ბრიგადირი, ბოლო ოცეული ბრიგადირ ალბერტ ბაბაიანი.

ბაბაიანმა ეს ინფორმაცია ბალის ბრიგადის ოცეულ ალბერტ ბაბაიანზე ... ეს ... ბალის ... ...

XXVI ყრილობამ დასახა — რა გაკეთდა?

ცისფერი ვარსკვლავები

რუკაზე

„დავამთავროთ ეროვნული ეკონომიკის აგება, განვაგრძოთ ხუთწლიანის მშენებლობა...“

(სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან)

გადამწყვეტი ეტაპი დაუდგა მდინარე არაგვზე ქინცვილის ჰიდროკვანძის მშენებლობას. დამთავრდა მიწისქვეშა სამანქანო დარბაზის აგება, მიმდინარეობს 130 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ოთხი ენერგოგენერატის დამონტაჟებისთვის მზადება.

—ქინცვალის ჰიდროკვანძი, როგორც საექსპლოატაციოდ გადაცემა დასახულია წლის დამლევისათვის, უნიკალურ ფუნქციას შეასრულებს, — თქვა „საქჰიდროენერგოშენის“ საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანების უფროსმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ცისკარიშვილმა. — მისი მთავარი დანიშნულებაა რესპუბლიკის დედაქალაქში წყალმომარაგების სტაბილიზაცია. 40 კილომეტრზე მეტი სიგრძის მაგისტრალური წყალსატარი ქალაქს ყოველ წამს მიაწვდის დაახლოებით 18 კუბურ მეტრ ტენს — ერთ-ნახევარჯერ მეტს, ვიდრე თბილისი იღებს წყალმომარაგების ყველა წყაროდან. ხელოვნური ზღვა, რომელიც ყრილი კაშხალია, ბოლამდე გადაიშლება.

ჰიდროკვანძის მშენებლობა აწარავეთ ტემპით მიმდინარეობს, მშენებლები მნიშვნელოვნად უსწრებენ გრაფიკს. ამას ბევრად შეუწყო ხელი მშენებლობაზე დანერგილმა შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებმა, კერძოდ, საფრნო ინარამ, რომელმაც მაღალი საპლოო შედეგისათვის საერთო პასუხისმგებლობითა და საერთო დაინტერესებით გაიერთიანა მუშები და სახაზო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

მალე რესპუბლიკის ენერგეტიკულ რუკაზე აკაფდება კიდევ ერთი ცისფერი ეარსკვლავი, რომლითაც აღინიშნება ჰიდროენერგოსადგურები. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ზემოთ, რომელიც უკვე იძლევა დენს და რომლის მშენებარე მაღლიმა თანდათან კაშხალად უკვე გადაქცეულა. მეთხუთედ კილომეტრის ნიშნულს, დაიწყო ენგურის ელექტროკეკლის კასკადის კიდევ ერთი გიგანტი — ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. გასული წლის 22 დეკემბერს, ენერგეტიკოსის დღეს, თავიანა ენგური კვლავ დიმორრილეს, გადაბიდეს ზღვდარით და იგი შემომველი ვკირაბით გაუშვეს, მომზადებულ მთხრელში იწყება მაღლიკი კაშხალის მშენებლობა. აქ უნდა შესრულდეს უდიდესი მოცულობის სამუშაოები, — ააგონ ძიწისქვეშა ტაბობათა კომპლექსი, მათ შორის სამანქანო დარბაზი, დამუშაონ თხმ მიღიონ-ნახევარი კუბური მეტრი კლდის გრუტი, ჩასხან ორმილიონ-ნახევარი კუბური მეტრი ბეტონი, გაიყვანონ 110 კილომეტრი საავტომობილო გზა და სატრანსპორტო გვირაბი.

მაგრამ ჰიდრომშენებელთა კოლექტივს, რომელმაც გაიარა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სკოლა, ამ ამოცანის გადაჭრა ხელეწიფება.

კოლხეთი:

უკან იხევს

ჭაობი

